პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა, 11 აპრილი, 1943 წ. № 83 (6708). ფასი 20 კაპ.

ბოლშევიკურად აღვზარდოთ პარტიის წევრობის კანდიდატები

სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა **ლენინ-სტალინის** პარტიის გარშემო, კიდევ უფრო გაფართოვდა და განმტკიცდა პარტიის კავშირი მასებთან. დიდია ბოლშევიკური პარტიის ავტორიტეტი. საბჭოთა ადამიანებმა იციან, რომ ლენინ-სტალინის პარტია წარმოადგენს ბრძოლებში ნაცად ავანგარდს, ხალხის მთელი ძალების დიად ორგანიზატორს, რომელიც უზრუნველჰყოფს ჩვენს გამარჯვებას დიდ განმათავისუფლებელ ომში, საძულველი მტრის — პირსისხლიანი ჰიტლერელი ოკუპანტების სრულ განადგურებას.

საბჭოთა ხალხმა სამუდამოდ დაუკავშირა თავისი აწმყო და მომავალი ბოლშევიკურ პარტიას. ამით აიხსნება, რომ სამამულო ომის მრისხანე ვითარებაში გაიზარდა ჩვენი ეპოქის მოწინავე ადამიანთა — გმირი წითელი არმიის მებრძოლთა და მეთაურთა, მუშათა, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა მისწრაფება შევიდნენ ბოლშევიკური პარტიის რიგებში. პარტიის რიგებში შედიან ჩვენი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტები, რომელთაც საგმირო საქმეებით სამამულო ომის ფრონტზე, თავდადებული შრომით ზურგში დამტკიცეს თავიანთი უსაზღვრო ერთგულება და სიყვარული ლენინ-სტალინის პარტიისადმი.

საკ. კ. პ. (ბ) რიგების ზრდა პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს გააძლიერონ მუშაობა პარტიის წევრობის კანდიდატების ბოლშევიკური აღზრდისათვის. პარტიის წესდებით ახალმისაღები წევრისათვის დადგენილია საკანდიდატო სტაჟი „რაც საჭიროა იმისათვის, რომ კანდიდატი გაეცნოს პარტიის პროგრამას, წესდებას, ტაქტიკას და უზრუნველყოფილ იქნას კანდიდატის პირადი თვისებების შემოწმება პარტორგანიზაციის მიერ“. საკ. კ. პ. (ბ) წესდების ეს მოთხოვნა მტკიცეთ უნდა დავიცვათ. ამის მისაღწევად საჭიროა პარტიის წევრობის თითოეული კანდიდატი განუწყვეტლივ გრძნობდეს პარტორგანიზაციის მზრუნველობას, ხელმძღვანელობას და დახმარებას მუშაობაში. პარტიის წევრობის კანდიდატები აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ პარტიულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ასრულებდნენ ისეთ პარტიულ დავალებებს, რომლებიც ეხმარება მათ იდეურ-პოლიტიკურ ზრდასა და პარტიულ გამოწრთობაში.

მთელმა რიგმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა კარგად დააყენეს პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობა. პარტრაიკომები მათ საჭირო დახმარებას უწევენ ამ საქმეში. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტორგანიზაციამ გააუმჯობესა მუშაობა პარტკანდიდატებთან. მათთან სისტემატურად იმართება საუბრები საკ. კ. პ. (ბ) წესდებისა და პროგრამის საკითხებზე, ეწყობა თათბირები, ისინი ჩაბმული არიან მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელ წრეებში, აქტიურად მონაწილეობენ საკითხების განხილვაში პარტიულ კრებებზე და საზოგადოებრივ მუშაობაში. 1942 წლის იანვრიდან დღემდე აქ პარტიის წევრობის 48 კანდიდატი მიიღეს პარტიის წევრად.

ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ ცხაკაიას პარტორგანიზაციაში პარტიის წევრობის ყველა კანდიდატს აქვს პარტიული დავალება, რომლის შესრულებაში მათ პარტორგანიზაცია ეხმარება. პარტიაში ახლად მიღებული ამხანაგები კიდევ უფრო თავდადებით იბრძვიან გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, ფრონტის დასახმარებლად. მაგალითად, ორასოვანი ა. კარანაია და ა. ჯოჯუა ახლა დავალებებს 250-300 პროცენტით ასრულებენ. პარტმასობრივი მუშაობის კარგად დაყენების შედეგად პარტორგანიზაციაში არც ერთი სტაჟგადაცილებული კანდიდატი არ ჰყავთ.

მაგრამ ზოგიერთი პარტორგანიზაცია არადამაკმაყოფილებლად მუშაობს პარტიის წევრობის კანდიდატებთან, სუსტად ზრუნავს მათი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისა, ბოლშევიკურად გამოწრთობისა, პარტიის წევრად დროულად მიღებისათვის. პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის ჩამორჩენილობით აიხსნება ის გარემოება, რომ ამბროლაურის რაიონის პარტორგანიზაციებში პარტიის წევრობის კანდიდატების უმრავლესობა სტაჟგადაცილებულია. მსგავსი მდგომარეობაა წითელწყაროსა და ახალციხის რაიონებში. ამ რაიონებში პირველადი პარტორგანიზაციები და პარტრაიკომები სუსტად მუშაობენ პარტიის წევრობის კანდიდატებთან. ამბროლაურის რაიონის სოფ. სადმელის კოლმეურნეობა „გლეხის წინსვლის“ და ახალსოფლის კოლმეურნეობა „კომბაინის“, წითელწყაროს რაიონის სოფ. არბოშიკის კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკის“ და წითელწყაროს მტს-ის პარტორგანიზაციებს 1942 წლის მანძილზე არც ერთხელ არ ჩაუტარებიათ საუბარი საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატებთან, საკმაო დახმარებას არ უწევენ მათ იდეურ-თეორიული დონის ამაღლებაში, ბოლშევიზმის ისტორიის, მიმდინარე პოლიტიკის საკითხების შესწავლაში.

პარტიის წევრობის კანდიდატების მნიშვნელოვან ნაწილს პარტიული დავალება არა აქვს. მაგალითად, წითელწყაროს მტს-ის პარტორგანიზაციაში 5 პარტკანდიდატია, მათგან ორს არა აქვს პარტიული დავალება. როგორც წესი, პარტიული დავალების შესრულება არ მოწმდება. ახალციხის რაიონის სოფ. აწყურის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ და მთელ რიგ სხვა პარტორგანიზაციებს არც ერთხელ არ განუხილავთ კრებაზე საკითხი პარტიული დავალებების შესრულების შესახებ. სუსტია პარტკანდიდატების მონაწილეობა პარტიულ კრებებზე საკითხების განხილვაში. პარტრაიკომები ზოგჯერ დაგვიანებით იხილავენ განცხადებებს პარტიაში მიღების შესახებ (წითელწყაროს, ზესტაფონის და სხვა რაიონები).

პარტორგანიზაციების მოვალეობაა გადაჭრით გაუმჯობესონ მუშაობა პარტიის წევრობის კანდიდატებთან, მზრუნველობით, ბოლშევიკურად აღზარდონ ისინი. ამისათვის საჭიროა საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატები აქტიურად ჩავაბათ პარტიული ორგანიზაციის ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში, საწარმო-დაწესებულების, კოლმეურნეობის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, სისტემატურად შევამოწმოთ პარტიული დავალების შესრულება, ჩავუნერგოთ დავალებული სამუშაოს შესრულებისათვის და პარტიული დისციპლინის დაცვისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა. პირველადი პარტორგანიზაციის მდივნებმა თვითონ უნდა უხელმძღვანელონ პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობას. პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტები სისტემატურად უნდა იხილავდნენ საკითხს პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობის შესახებ და შესაფერ ღონისძიებებს სახავდნენ ამ მიმართულებით.

პარტიის წევრობის კანდიდატის პოლიტიკური აქტივობა დამოკიდებულია მის იდეურ შეიარაღებაზე. ამისათვის ყოველდღიურად უნდა დავეხმაროთ პარტიის წევრობის კანდიდატებს იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაში, საკ. კ. პ. (ბ) წესდებისა და პროგრამის შესწავლაში, ბოლშევიზმის დაუფლებაში—ლექცია-მოხსენებების მოწყობით, საუბრების გამართვით და სხვ.

პარტორგანიზაციების საბრძოლო ამოცანაა გააძლიერონ მუშაობა პარტიის წევრობის კანდიდატებთან, ზარდონ სამამულო ომის პირობებში ბოლშევიკური პარტიის რიგები, შეასრულონ დიდი ბელადის — ამხანაგ **სტალინის** მითითება იმის შესახებ, რომ სისტემატურად უმჯობესდებოდეს პარტიის შემადგენლობა, რომ ამაღლებულ იქნას საბჭოთა სახელმწიფოს მოწინავე მოღვაწეთა, **ლენინ-სტალინის** დიადი არმიის მებრძოლთა, ჩვენი სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გმირ დამცველთა შეგნებულობის დონე.

სუეზოვის მეორე ხარისხის ორდენის გადაცემა გენერალ-ლეიტენანტ ნ. ს. ხრუშჩოვისათვის

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა მ. ი. კალინინმა 10 აპრილს კრემლში სუეზოვის მეორე ხარისხის ორდენი გადასცა გენერალ-ლეიტენანტ ნ. ს. ხრუშჩოვს, რომელიც დაჯილდოებულია საბრძოლო ოპერაციების უნარიანი და მამაცური ხელმძღვანელობისათვის და გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლებში ამ ოპერაციების შედეგად მიღწეული წარმატებებისათვის. (საკდესი).

უკანასკნელი ცნობები

საომარი მოქმედება ჩუნისში

ლონდონი, 10 აპრილი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 8 აპრილს ტუნედ წამოყენილია იტალიის ჯარის ერთ-ერთი შენაერთის სარდალი, გენერალი მანერინი თავის შტაბიანად.

ინგლისელთა, ფრანგთა და ამერიკელთა ნაწილებმა ერთობლივი ოპერაცია ჩაატარეს ფონდუკის ჩრდილოეთით და სამხრეთით მდებარე მაღლობთა ხელში ჩასაგდებად. ტყვედ წამოყვანილია 500-ზე მეტი კაცი.

ინგლისის ჯარები წინსვლას განაგრძობენ მეჯეზ-ელ-ბაბსა და ნიუნშარს შუა მდებარე რაიონში და უკანასკნელი ოთხი დღის განმავლობაში აქ ტყვედ წამოიყვანეს 1.000 გერმანელი.

ალჟირის რადიოს ცნობით, დღეს დილით ინგლისის ჯარებმა სფაქსი დაიკავეს.

როგორც რეიტერის საგენტო გადმოგცემს, რომმელის სატანკო დივიზიებს მეტად ესაჭიროებათ მარნანების შევსება და რემონტი.

არსებული ცნობებით, ამჟამად რომმელს ერთისამად ნაკლები ტანკი აქვს, ვიდრე მოკავშირეებს.

ნიუ-იორკი, 10 აპრილი (საკდესი). თავის ყოველკვირეულ სამხედრო მიმოხილვაში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრმა სტიმსონმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ამერიკის ჯარებისა და ინგლისის მე-8 არმიის შეერთების შემდეგ მოკავშირეთა განუწყვეტელი ფრონტის ხაზი შეიკრა.

გენერალ რომმელისა და არნიმის ჯარები,—სთქვა სტიმსონმა, — ამჟამად, როგორც ჩანს, ერთიანი სარდლობით მოქმედებენ.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 10 აპრილი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გუშინ ინგლისის ავიაციამ იერიში მიიტანა და დაანგრია ბევრი ორთქლმავალი და სხვა სამხედრო ობიექტები ჩრდილოეთ საფრანგეთში.

„მოსკიტო“ თვითმფრინავები თავს დაესხნენ სამხედროველო ობიექტებს კელნის მახლობლად. 9 აპრილს ღამით ბერლინზე ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს დუისბურგზე და რურის ოლქის სხვა ობიექტებზე.

გუშინ საღამოს გერმანიის რამდენიმე თვითმფრინავმა ბომბები ჩამოჰყარა ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს ერთ-ერთ პუნქტში.

გამოწვეულია ერთგვარი მატერიალური ზარალი, არის მსხვერპლი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

10 აპრილის დილის ცნობა

9 აპრილის ღამის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

ბალაკლეის სამხრეთით 5 ნაწილის მებრძოლებმა მოიგერიეს იერიში გერმანელთა ქვეითი ჯარისა, რომელიც ცდილობდა გამოჭრილიყო ერთი დასახლებული პუნქტისაკენ. ბრძოლის შედეგად დაზიანებულია გერმანელთა 2 ტანკი და მოსპობილია მოწინააღმდეგის 100-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. იმ ნაწილის სნაიპერებმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. მოროზოვი, განვლილ დღეს 34 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტეს.

* * *

დასავლეთის ფრონტზე მოწინააღმდეგის მზვერავმა რაზმმა იერიში მოიტანა დასახლებულ პუნქტზე, რომელსაც 6 ქვეგანაყოფი იცავდა. გერმანელებმა რიცხვობრივი უპირატესობით ისარგებლეს და რამდენიმე სახლი დაიკავეს. მეზობელი ქვეგანაყოფის დახმარებით ჩვენმა მებრძოლებმა დილისათვის მთლიანად მოსპეს გერმანელთა რაზმი. სხვა უბანზე 6 შენაერთის არტილერისტებმა დაანგრიეს მტრის 4 ძელმიწური, ჩაახშეს 7 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი, ჭაპფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს ერთ ასეულამდე ჰიტლერელი.

საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 2 თვითმფრინავი.

* * *

ქალ. ბელის სამხრეთით გვარდიის 5 ნაწილის მზვერავმა რაზმმა მოსპო 40-მდე ჰიტლერელი და დაიკავა მაღლობი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. გამაგრდნენ რა ამ მაღლობზე, მზვერავებმა მოიგერიეს 3 კონტრიერიში მოწინააღმდეგისა, რომელიც ცდილობდა აღიდგინა მდგომარეობა. გერმანელებმა წარმატებას ვერ მიაღწიეს, ბრძოლის ველზე ათ ობით თავიანთი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი დასტოვეს და უკან დაიხიეს. 5 შენაერთის სნაიპერებმა გაჟლიტეს 60 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით გრძელდებოდა საარტილერიო და სანაღმტყორცნო სროლა მოწინააღმდეგესთან. არტილერიის ცეცხლით მოსპობილია მოწინააღმდეგის 3 ქვემეხი, 9 ტყვიამფრქვევი, დანგრეულია 13 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი. სხვა უბანზე ჩვენმა არტილერისტებმა დაუშინეს გერმანელთა ავტომანქანების კოლონას და მოსპეს მოწინააღმდეგის სულ ცოტა 10 ავტომანქანა.

* * *

პოლესიეს ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა ვოროშილოვის სახელობის პარტიზანულმა რაზმმა მარტის განმავლობაში ლიანდაგიდან გადააგდო მოწინააღმდეგის 5 სამხედრო ეშელონი, რომელიც ფრონტის ხაზისაკენ მიდიოდა. ამ რაზმის პარტიზანების ჯგუფმა გაანადგურა გერმანელთა საპოლიციო უბანი. მოსპობილია 23 ჰიტლერელი, დანარჩენებმა კი იარაღი დაჰყარეს და აქეთ-იქით გაიქცნენ. პარტიზანებმა ხელთ იგდეს ერთი ტყვიამფრქვევი, 32 შაშხანა, მრავალი გრანატი და ვაზნა.

მინსკის ოლქში მოქმედი რაზმის პარტიზანებმა მოაწყვეს მოწინააღმდეგის სარკინიგზო ეშელონს მარცხი. დამსხვრეულია ერთი ორთქლმავალი, 4 ვაგონი და დაზიანებულია 25 მეტრი ლიანდაგი.

* * *

ქვემოთ ქვეყნდება აქტი იმ ძარცვა-გლეჯისა და მხეცობის შესახებ, რაც გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა ჩაიდინეს სმოლენსკის ოლქის სოფლებში—ბიკოვოსა, შოროვოსა და ვლასოვოში: „გერმანელმა ბანდიტებმა გაძარცვეს და აიოხრეს ჩვენი სოფლები ყველა შრომისუნარიანი მცხოვრები 14-დან 50-მდე წლის ასაკისა გერმანელებმა გარეკეს კატორღულ სამუშაოზე გერმანიაში. ჰიტლერელებმა დაიტაცეს პირუტყვი. მთელი სურსათი და სიკვდილით შიმშილი განემზადეს დარჩენილ მოხუცებსა და ბავშვებს. ამ სამ სოფელში არც ერთი ძროხა არ დარჩენილა. სოფელი ბიკოვო ჰიტლერელებმა დასწვეს. ამ სოფელში მხოლოდ ხუთი ნახევრადდანგრეული სახლი დარჩა“. აქტს ხელს აწერენ: სამედიცინო და პოლინა, პროკოფი კარპოვი, ეკატერინე მალიშევა და სოფელ ბიკოვოს სხვა მცხოვრებნი.

10 აპრილის საღამოს ცნობა

10 აპრილს განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

9 აპრილს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა სულ ცოტა 30 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ააფეთქეს საომარ მასალათა 2 საწყობი და დაამტვრიეს მოწინააღმდეგის სარკინიგზო შემადგენლობა.

* * *

ბალაკლეის სამხრეთით 6 ნაწილის ქვეგანაყოფებმა მოწინააღმდეგის იერიში მოიგერიეს. არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით მოსპობილია გერმანელთა 3 ტანკი, 2 თვითმავალი ქვემეხი და ჩახშობილია 4 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 200-ზე მეტი გვამი. უკანასკნელი დღეების განმავლობაში სნაიპერმა სუხარევმა მოსპო 21 ჰიტლერელი, სნაიპერმა მინზარევმა—15 და სნაიპერმა ბოჩკუნოვმა—11 გერმანელი.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ჯარები მტრის პოზიციებს უშენდნენ და მოწინააღმდეგის 10 საარტილერიო და 2 სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი ჩაახშეს. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია გერმანელთა 3 თვითმფრინავი.

მზვერავთა ჯგუფმა გვარდიის უფროს ლეიტენანტ ციცარევის მეთაურობით მტრის ზურგში შეაღწია. ჩვენმა მებრძოლებმა შეამჩნიეს რამდენიმე ათეული გერმანელი ჯარისკაცი, რომელნიც თავდაცვითს სამუშაოებს ასრულებდნენ. გვარდიელი მზვერავები ფეცრად დაესხნენ თავს მოწინააღმდეგეს, 40 გერმანელი ჯარისკაცი გაჟლიტეს და უდანაკლოსოდ დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით ჩვენმა არტილერისტებმა მტრის 8 ძელმიწური საცეცხლე წერტი დაანგრიეს და მოწინააღმდეგის 4 საარტილერიო და სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი ჩაახშეს. გერმანელთა მზვერავმა სანაღმტყორცნო ცეცხლის საფარქვეშ სცადა შემოჭრილიყო ჩვენი თავდაცვის სიღრმეში. მებრძოლებმა გვარდიის ლეიტენანტ შაბოვის მეთაურობით ჯერ შემოუშვეს გერმანელები, ხოლო შემდეგ მოულოდნელად მიიტანეს მათზე იერიში ზურგიდან და ელანგგებიდან. მოსპობილია რამდენიმე ათეული გერმანელი. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ყუბანში ჩვენს ჯარებს საარტილერიო სროლა ჰქონდათ მოწინააღმდეგესთან და მის დაზვერვას ეწეოდნენ. ერთ უბანზე გერმანელთა ერთმა ბატალიონმა ქვეითმა ჯარმა სცადა სოლიეთში შემოჭრილიყო ჩვენს საბრძოლო წყებებში. 6 ნაწილის ქვეგანაყოფებმა, ახლო მოუშვეს გერმანელები და ზალპობით სროლა აუტეხეს მათ. ჰიტლერელებმა ბრძოლის ველზე დასტოვეს თავის ჯარისკაცთა და ოფიცერთა 100-ზე მეტი გვამი და უკან დაიხიეს.

სსრ კავშირში მყოფი ჩეხოსლოვაკიის ჯარის ნაწილის მეთაურს, პოლკოვნიკ სეოგოდას

ბატონო პოლკოვნიკო, გულწრფელი სიხარულით წაიკითხე ცნობები, რომ ჩვენი ჯარის ნაწილი აღმოსავლეთის ფრონტზე თქვენი სარდლობით ჩაბმული იყო ბრძოლაში გერმანელ ფაშისტთა ურდოების წინააღმდეგ და ამგვარად მონაწილეობას იღებდა სახელოვან საბჭოთა შეტევაში. მან საუკეთესო მხრივ გვიჩვენა თავი და ღირსეულად შეასრულა თავისი ამოცანა, რომელიც მას დაკისრებული ჰქონდა ძლევამოსილი წითელი არმიის ბრძოლების ფარგლებში. დიდად გმადლობთ თქვენ და ყველა დანარჩენ ოფიცერს, უნტერ-ოფიცრებსა და ჯარისკაცებს თქვენი პატრიოტული მოვალეობის შეგნებულად შესრულებისათვის. ჩვენთვის პირდაპირ სიმბოლურია ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების თვალსაჩინოთ, რომ ჩვენ შეგვიძლია ვიბრძოლოთ მისთვის მოკავშირეთა ყველა ფრონტზე და განსაკუთრებით აგრეთვე აღმოსავლეთის ფრონტზე ჩვენი საბჭოთა მოკავშირეების ძლევამოსილ არმიასთან ერთად. ჩვენ ბოლომდე ვიქნებით ჩვენს მოკავშირეებთან ერთად და გავიმარჯვებთ. გულითადი სალამი თქვენ და სსრ კავშირში მყოფ ყველა ჩვენს მეომარს. დიდება და ნათელი ხსოვნა ყველა იმათ, ვინც თავი დასდო ხალხის თავისუფლებისათვის.

ჩეხოსლოვაკიის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი სარდალი, დოქტორი

ედუარდ ბენეში.

სსრ კავშირში მყოფი ჩეხოსლოვაკიის საველე ნაწილის მეთაურს, პოლკოვნიკ სეოგოდას

იმ ფრონტის მეთაურმა, სადაც ბრძოლებში თქვენი ნაწილი მონაწილეობდა, მაღალი შეფასება მისცა მის საბრძოლო თვისებებსა და მამაცობას. საზღვარგარეთ მყოფი ჩეხოსლოვაკიის არმიის სახელით მოგილოცავთ თქვენ და ბატალიონის ყველა ოფიცერსა და მებრძოლს

ჩეხოსლოვაკიის არმიის სამხედრო ღირსების პატიოსნად დაცვის გამო. პატივისცემითა და გულითადად ვიხრი თავს იმ თქვენს მებრძოლთა წინაშე, რომლებიც დაიღუპნენ.

ნაციონალური თავდაცვის მინისტრი, დივიზიის გენერალი **ინგრი.**

სსრ კავშირში მყოფ ჩეხოსლოვაკიის პარლამენტის წევრთა მისალმება ჩეხოსლოვაკიის ჯარის ნაწილისადმი

ჩვენს მხურვალე მილოცვას ვუძღვნით ფრონტზე მყოფ ჩეხოსლოვაკიის ჯარის ნაწილის ოფიცრებსა და ჯარისკაცებს და მის მეთაურს პოლკოვნიკ სეობოდას, აღტაცებული ვართ მისი საბრძოლო გმირობით.

სსრ კავშირში მყოფ ჩეხოსლოვაკიის პარლამენტის წევრთა სახელით

გოტვალდი, კოპეცკი.

კომკავშირულ-ახალგაზრდული ერთთვიური საერთო საცხოვრებელთა კეთილმოსაწყობად

მზარს უპირს რა კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივას, საკ. ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა 15 აპრილიდან 15 მაისამდე ჩაატაროს ერთთვიური ჰაბუკთა ქალაქების, საერთო საცხოვრებლებისა და მათი მომიჯნავე ტერიტორიების კეთილმოსაწყობად. ერთთვიურის დროს კომკავშირული ორგანიზაციები ახალგაზრდობასთან ერთად შეუდგებიან ოთახებისა და ბარაკების კეთილმოწყობას, ეზოებიდან გაიტანენ ნაგავს, მოამზადებენ მოედნებს გასამწვანებლად, გაიკეთებენ ბილიკებს, გააკეთებენ უმარტივეს სასპორტო მოედნებს.

ბევრ ქარხანაში ახალგაზრდობა, იხილავს რა ერთთვიურის მოწყობის გეგმას, ვალდებულებას კისრულობს განსაზღვრული რაოდენობის სათები იმუშაოს საერთო საცხოვრებელთა კეთილმოწყობაზე და იწყებს შეჯიბრებას ამ მუშაობის საუკეთესო შედეგისათვის. თათრეთის კომკავშირის საოლქო კომიტეტმა გამოაცხადა საოლქო შეჯიბრება საუკეთესო საერთო საცხოვრებლისათვის.

კომკავშირულ ორგანიზაციებს ერთთვიურის მოწყობაში დიდ დახმარებას უწევენ პარტიული ორგანიზაციები. პარტიის გორკის, ივანოვის და სხვა საოლქო კომიტეტები პარტიულ და სამეურნეო მუშაკთა თათბირებს იწვევენ ერთთვიურის მოწყობის საკითხებზე.

მთელმა რიგმა სახალხო კომისარიატებმა (სამართა მასალის სახალხო კომისარიატმა, საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა და სხვებმა) გამოსცეს ბრძანებანი, რომლებითაც საწარმოთა დირექტორებს დაავალეს სათავეში ჩაუდგნენ საერთო საცხოვრებელთა კეთილმოწყობის დარგში მუშაობას და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი კომკავშირულ ორგანიზაციებს ერთთვიურის ჩატარებაში.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურის და სპორტის საქმეთა სრულიად საკავშირო კომიტეტმა დაავალა საოლქო და საქალაქო კომიტეტებს უშუალო მონაწილეობა მიიღონ საერთო საცხოვრებლებთან სასპორტო მოედნების შექმნაში და ამისათვის გამოიყენონ ადგილობრივი რესურსები და შესაძლებლობანი.

მუშა-მოსამსახურეთა ბოსტნები

კოლექტიურ და ინდივიდუალურ საბოსტნე ნაკვეთებზე განაცხადთა რაოდენობა, რაც ამჟამად მნიშვნელოვნად გადიდდა წარსულ წელთან შედარებით, იმის აშკარა მაჩვენებელია, თუ რა უდიდეს ინტერესს იჩენენ მუშა-მოსამსახურენი სასურსათო რესურსების გაფართოებისადმი ჩვენს ქვეყანაში. ბოსტნები მოსახლეობის დამატებითი კვების წყაროა.

პარტია და მთავრობა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ საწარმო-დაწესებულებებისა და ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური და ინდივიდუალური მებოსტნეობის განმტკიცებას და შემდგომს განვითარებას. 1942 წელს მუშა-მოსამსახურეების მიერ დამუშავებული ბოსტნების მიწის ფართობი 500.000 ჰექტარს შეადგენდა, მაგრამ, რასაკვირველია, ჩვენი შესაძლებლობა ამით არ ამოიწურება. მრავალ ოლქს შეუძლია **ერთიორად და უფრო მეტადაც გაადიდოს ბოსტნების ფართობი შარშანდელთან შედარებით.**

თავისუფალი მიწა ჩვენ გვეყოფა, ზურგის მუშაკებს დიდი სურვილი აქვთ იშრომონ ბოსტნებში წარმოებას მოუწყვეტლივ. მაშასადამე, ყოველი საჭირო ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ უახლოეს დღეებშივე—არაუგვიანეს 15 აპრილისა — დავამთავროთ საწარმო-დაწესებულებათათვის ინდივიდუალური და კოლექტიური საბოსტნე მიწის გამოყოფა და სავსებით დავაკმაყოფილოთ მუშა-მოსამსახურეთა განაცხადები.

მრავალ ოლქსა და მხარეში მოიპოვება ქალაქის მიწის ფონდები, რომელიც დღემდე ცარიელი იყო. მაგრამ იქაც კი, სადაც ეს ფონდები საკმარისი არ არის, ადვილად შეიძლება თავი დავაღწიოთ მდგომარეობას. უნდა გამოვიყენოთ უახლოესი საბჭოთა მეურნეობების თავისუფალი მიწები და რკინიგზებისა და გზატკეცილთა გასხვისების ზოლები. უნდა შევუთანხმდეთ კოლმეურნეობათა გამგეობებს და გამოვიყენოთ აგრეთვე მათ მიერ გამოუყენებელი მიწები. დასახლებულ პუნქტებთან უფრო ახლო მდებარე საუკეთესო ნაკვეთები პირველ რიგში უნდა გამოვუყოთ წითელარმიელთა, სამხედრო მოსამსახურეთა, სამამულო ომის ინვალიდთა ოჯახებს, — ამითაც გამოჩნდება საბჭოთა ხალხის ზრუნვა ჩვენი სამშობლოს გმირი დამცველებისათვის.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომთა მოვალეობაა საჩქაროდ დააკმაყოფილონ თხოვნა მიწის ნაკვეთების მიცემის შესახებ. გაჭიანურება ასეთ საქმეში დანაშაულია.

მებოსტნეებს დახმარება უნდა აღმოუჩინოთ კარტოფილის სათესლე მასალის, მათ შორის ტუბერის წვეროების, აგრეთვე ბოსტნეული კულტურების თესლისა და ჩითილის შეძენაში. ლენინგრადში, მაგალითად, სადაც წელს განზრახულია 2,5 ათასამდე ჰექტარის დათესვა, სამეწარმეო ორგანიზაციებმა უკვე 1.300.000 ჯაკეტი ბოსტნეულის თესლი მიმზადეს მებოსტნეებისათვის. დაიწყო ჩითილის თესვა.

საგაზაფხულო სამუშაოებისათვის ზზადებაში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბოსტნის ძველი ინვენტარის რემონტს და ახალი ინვენტარის—ბარის, ფოცხის, თოხის, ვედროს, სასხურებლის დამზადებას. ყველაფერი ეს შეიძლება მოეწყოს ყოველ ქარხნის ფართო მოხმარების საამქროებში, სახელოსნოებსა და სამჭედლოებში, ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებში.

იმ ქარხნის მუშა-მებოსტნეთა კრებაზე, რომლის დირექტორიც არის ამხ. კრუშინა, მუშამ ამხ. ა. ჟუკოვმა, რომელმაც შარშან 20 ტომარა მარტო კარტოფილი მოიწია (კომბოსტოს, ჭარხლისა და სტაფილოს გარდა), განაცხადა: „მე ვურჩევ ყველა დამწყებ მებოსტნეს: მეტი სასუქი შეიტანეთ ნიადაგში, ნუ გეშინიათ ზედმეტი საათი იმუშაოთ მიწაზე, შრომა ჭარბად ანაზღაურდება“. და, განავითარა რა თავისი აზრი, მან გადაშალა მთელი პროგრამა მის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა, რასაც იგი ყველა მებოსტნეს ურჩევს.

ამხ. ჟუკოვის აზრი სავსებით სწორია. დიდ მოსავალს ვერ მოვიწევთ, თუ მხედველობაში არ მივიღეთ აგროტექნიკის მოთხოვნილებანი. თუ მებოსტნემ არ იცის, როგორ დაამუშაოს ნიადაგი, როგორ და რით გააპტიროს იგი, როგორ ებრძოლოს ბოსტნეული კულტურების სენსა და მავნებლებს, მთელი მისი მეცადინეობა ამაოდ ჩაივლის. მებოსტნეებს აგრონომები უნდა დაეხმარონ.

კოლექტიური და ინდივიდუალური მებოსტნეობის განვითარება ცალკეული მუშა-მოსამსახურის კერძო საქმე როდია, ეს დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო მუშაობაა. ოლქებში ამ საქმის ხელმძღვანელობა ტყუილად როდი აქვს დაკისრებული პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან არსებულ მებოსტნეობის ხელშემწყობ კომიტეტთან ერთად საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის ერთ-ერთ მდივანს და საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს.

საგაზაფხულო სამუშაოთა დაწყებამდე დარჩენილ დღეებში უნდა მოთავდეს ყველაფერი, რაც დაუმთავრებელია, რათა მილიონობით მებოსტნენი სავსებით მომზადებულნი გამოვიდნენ მათთვის გამოყოფილ ნაკვეთებზე და მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ უხვი მოსავლის მოპოვების საქმეს.

„პრავდის“ მოწინავე, 10/IV.

1943 წელს შაქრის ხარშვის სეზონისათვის მზადება

მოსკოვი, 5 აპრილი (საკდესი) სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატმა მიიღო გადაწყვეტილება 1943 წლის მოსავლის ჭარხლის გადამუშავებისათვის ავარის შაქრის ქარხნის მომზადების შესახებ.

ქარხნის მიმდინარე და კაპიტალური რემონტი 20 აგვისტოსათვის უნდა დამთავრდეს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ღონისძიებებს, რომელნიც უზრუნველჰყოფენ საწარმოს უთავრო მუშაობას, შაქრის დანაკარგის შემცირებ

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე

სახელოვანი სტალინური შევარდნები

უპყრობი სახელი და დიდება მოიპოვა საბჭოთა ავიაციამ გერმანელ ფაშისტთა ურდოებთან წარმოებულ სამამულო ომში. სტალინურმა შევარდნებმა, ჩვენმა მამაცმა და უშიშარმა მფრინავებმა ოქროს ასოებით ჩასწერეს თავიანთი სახელები საბჭოთა ხალხის ისტორიაში. ასეთია ავიაციის გენერალ-მაიორი, საბჭოთა კავშირის გმირი ვლ. ნანეიშვილი და მისი მფრინავები.

ხშირად ესხმიან თავს ჰიტლერელებს გენერალ-მაიორ ვ. ნანეიშვილის ქვეგანაყოფთა თვითმფრინავები. საბჭოთა მფრინავები გერმანელებს ურტყამენ და ანადგურებენ, როგორც მათი თავდაცვის წინა ხაზებზე, ისე ძათს ზურგში.

ამას წინათ გერმანელმა ფაშისტებმა ერთხელ კიდევ იწვნიეს ჩვენი ავიაციის დარტყმა. ფაშისტმა სვავებმა სცადეს თავს დასხმოდნენ ერთ-ერთი ფრონტის მახლობელ ზურგს. ფაშისტებს ჰაერში ბრძოლა გაუმართეს საბჭოთა მფრინავებმა და, მიუხედავად იმისა, რომ მტერს რიცხვობრივი უპირატესობა ჰქონდა, ჩვენმა შევარდნებმა მაინც სასტიკად დაამარცხეს ისინი. ჰაერში გამოშვებულ თვითმფრინავთა ერთ მეხუთედზე მეტი დაჭარგეს ჰიტლერელმა სვავებმა ამ ბრძოლაში და უკან ისე გაბრუნდნენ, რომ დასახული ამოცანა ვერ შეასრულეს.

გენერალ-მაიორ ვ. ნანეიშვილთან ერთად ჰიტლერელთა ურდოების გასანადგურებლად იბრძვის ავიაციის პოლკოვნიკი შ. ჭანკოტაძე. რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით გერმანელ ფაშისტთა დიდი დაჯგუფების განადგურების საქმეში სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, ამასთან ვაჟკაცობისა და მამაცობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით. სამგზის ორდენოსანი შ. ჭანკოტაძე კვლავ თავდადებით განაგრძობს ჰიტლერელების წინააღმდეგ ბრძოლას.

დიდი სახელი აქვს მოპოვებული მოიერიშე თვითმფრინავთა ერთ-ერთი ქვეგანაყოფის მეთაურს, ორდენოსან უფროს ლეიტენანტს ხიტალაშვილს, რომელსაც 60-ზე მეტი საბრძოლო გაფრენა აქვს და რომელმაც უკანასკნელ დღეებში ჰიტლერელებს დიდი ზარალი მიაყენა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის განადგურებით.

ავიაციის პოდპოლკოვნიკმა გრ. ბასილაიამ, მრავალჯერ გამოამჟღავნა წითელი არმიის მეთაურის მაღალი თვისებები და პირადი სიმამაცე.

აზერბაიჯანელი ხალხის შვილმა ორდენოსანმა ოთხოსმა ლეიტენანტმა სოლთან ახმედხანმა ამ რამდენიმე დღის წინათ გამართული ერთ-ერთი საჰაერო ბრძოლის დროს ორი „მესერშმიტი“ დაანარცხა მიწას.

ავიაციის გენერალ-მაიორი
ვ. ნანეიშვილი

საბჭოთა კავშირის გმირ გენერალ-მაიორ ვ. ნანეიშვილის მფრინავებმა განვლილი ბრძოლების შედეგად დიდი გამოცდილება მიიღეს. ამ ნაცად, უშიშარ და სახელოვან მფრინავებს შორის არიან საბჭოთა კავშირში მოსახლე თითქმის ყველა ხალხთა შვილები. ისინი შედუღაბებული არიან ხალხთა სტალინური მეგობრობის ურღვევი კავშირით, საბრძოლო მეგობრობითა და საბჭოთა პატრიოტების დამახასიათებელი გამტანობით.

ჰიტლერელი დამპყრობლები კვლავ მრავალჯერ იგებენ განადგურებელ დარტყმებს ჩვენი ავიაციის მხრივ.

დ. ამირანიძე

ჩვენი ნაწილები წარმატებით იგერიებენ მტრის იერიშებს ბაღაკლეის სამხრეთით

მოსკოვი არმია, 9 აპრილი (ტელეგრაფით ჩვენი კორესპონდენტისაგან). ბალაკლეის სამხრეთით მდებარე რაიონში დღეს დილიდან შუადამემდე გაიფთრებული ბრძოლები სწარმოებდა. გერმანელებმა მიზნად დაისახეს გაერღვიათ ჩვენი თავდაცვა, და ბრძოლაში გამოიყვანეს ახალი ძალები. დღეს უკვე ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი და სულ ცოტა ორი ათეული ტანკი იღებდა მონაწილეობას იერიშებში.

როგორც კი გამოჩნდა მტრის ქვეითი ჯარი და ჯავშნიანი მანქანები, 6 ნაწილი საარტილერიო და თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით შეხვდა მტერს. გერმანელები შედგნენ. მათი ქვეითი ჯარი ჩვენი მოწინავე ხაზების მოშორებით გაწვა. მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ მათ კვლავ იწყეს წინ წამოწევა. ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა.

მტრის ტანკები მცირე ჯგუფებად იყრიდნენ თავს და ცდილობდნენ სხვადასხვა მიმართულებით გამოჭრილიყვნენ, მაგრამ ყველგან ჩვენი არტილერისტებისა და ჯავშნმტერეველების ძლიერ ცეცხლთან წინააღმდეგობას ხვდებოდნენ. მოწინააღმდეგის შვიდი ჯავშნიანი მანქანა, რომლებიც ხევებს ეფარებოდნენ, 6 ნაწილის პოზიციებს მოადგნენ და დიდი სიჩქარით სცადეს სოლივით შემოჭრილიყვნენ მის თავდაცვაში. არტილერისტებმა ორი მხრიდან დაუშინეს ამ ტანკებს და მიბრუკენ ისროდნენ მათ. სამი მანქანა მაშინვე დაზიანდა, დანარჩენებმა პირი იბრუნეს და სწრაფად მიიმალნენ.

ამის შემდეგ მოწინააღმდეგემ კიდევ რამდენჯერმე სცადა გამოჭრილიყო, მაგრამ არც ერთ მის იერიშს წარმატება არ ჰქონია. გერმანელებმა მთელი რიგი უშედეგო იერიშების შემდეგ ბრძოლის ველზე დასტოვეს 1.200-მდე მოკლული და რამდენიმე დაზიანებული ტანკი და იძულებული გახდნენ უკან დაიხიათ.

6 ნაწილის ქვეგანაყოფებს, რომლებიც შედგრად იცავდნენ თავიანთ პოზიციებს, ერთი ნახიჯითაც არ დაუხევიათ უკან. მებრძოლები და მეთაურები ვაჟკაცურად ებრძოდნენ მტერს, მარჯვედ იგერიებდნენ მის ყველა იერიშს. მტრის ერთ-ერთმა ბატალიონმა შესძლო მოახლოვებოდა ჩვენს მოწინავე პოზიციებს. მოწინააღმდეგე უკვე ემზადებოდა იმისათვის, რომ ჰკვეთებოდა სანგრებს. მაგრამ ამ დროს ერთმა ქვეგანაყოფმა, რომელიც თავს იცავდა, გაბედულად მიიტანა კონტრიერიში მოწინააღმდეგეზე. მტრის ბატალიონმა ჩვენი ქვეგანაყოფის მძაფრ დარტყმას ვერ გაუძლო, ხევებში გაიფანტა და სწრაფად დაიხია უკან.

დიდი მედგრობა გამოიჩინეს თავდაცვაში ჩვენმა არტილერისტებმა. მიუხედავად იმისა, რომ მტრის ქვეითი ჯარის იერიშებს მრავალი ტანკი ეხმარებოდა, არტილერისტები ყოველთვის ისეთი ძლიერი ცეცხლით ხვდებოდნენ გერმანელთა ჯავშნიან მანქანებს, რომელიც ადგილიდან დაძვრის საშუალებას არ აძლევდა მოწინააღმდეგეს.

„კრასნაია ზვეზდა“, 10 აპრილი.

მამაცი მებრძოლი

იერიშის წინ ასეულმა თავი მოიყარა ზღუდესთან. ვაზნების მიმწოდებლებს სწრაფად მიჰქონდათ საომარი მასალა. ამ დროს გერმანელებმა ასტეხეს ტყვიამფრქვევების ჯადამღობი სროლა. ვითარება მოითხოვდა იერიშზე დაუყოვნებლივ გადასვლას. მაგრამ ერთ-ერთი ათეული ადგილზე რჩებოდა, რადგან მეთაური თალაკვაძე ორჯერ დაიჭრა და ბრძანების გაცემა ვერ შესძლო.

— ათეულო, ისმინე ჩემი ბრძანება!—გაისმა ომახიანი ხმა.—წინ იერიშზე!

ეს იყო ვაზნების მიმწოდებელი წითელარმიელი **ხარიშვილი**. მებრძოლები მიჰყვნენ მას, შეიჭრნენ მტრის სანგრებსა და ფარულ სასვლელებში. იერიში წარმატებით დამთავრდა.

ხარიშვილმა ხელჩართულ შეტაკებაში 8 ფაშისტი მოსპო.

უფროსი ლეიტენანტი კეზეჩაშვილი
(6 წითელარმიული გაზეთი).

გვარდიის გენერალ-მაიორ ჰ. ჩანჩიბაძის შენაერთის სახელოვანი საბრძოლო გზა

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საქ. კორესპონდენტისაგან)

ზამთრის კამპანიის დროს გვარდიულმა შენაერთმა გვარდიის გენერალ-მაიორ ჰ. ჩანჩიბაძის მეთაურობით დიდი საბრძოლო გზა განვლო, უტკრობი სახელი მოუხვეჭა თავის დროშებს. ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში ფრონტის ერთ-ერთ გადამწყვეტ უბანზე შენაერთმა მოახდინა რამდენიმე გადასვლა ღამით ზამთრის რთულ პირობებში და გამანადგურებელი დარტყმა აგება მტერს, ჩაშალა გერმანელთა სარდლობის გეგმა, უკუაქცია მტერი და დიდი ზარალი მიაყენა მას.

ასე სახელოვნად დაიწყო რა ზამთრის კამპანია, შენაერთმა ბრძოლებით განვლო გზა, რომელიც ფართოდ იქნება გაშუქებული დიდი სამამულო ომის მატიანეში და მომავალი თაობების აღტაცებას გამოიწვევს. ზამთრის კამპანიის განმავლობაში ჩანჩიბაძის შენაერთმა რამდენიმე ასეული კილომეტრი განვლო ბრძოლებით. ჩანჩიბაძის შენაერთმა ფაშისტი დამპყრობლებისაგან გაათავისუფლა ორასზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის რამდენიმე დიდი რაიონული ცენტრი, აგრეთვე ქალაქი ნოვოჩერკასკი, რაც აღნიშნული იყო საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობაში. ორნახევარი თვის საბრძოლო მოქმედების განმავლობაში შენაერთმა უდიდესი ზარალი მიაყენა მტრის საბრძოლო ტექნიკას, ხელთ იგდო დიდძალი დავლა: ავტომანქანები, ტანკები, ქვემეხები, ტყვიამფრქვევები, ასი ათასობით ვაზნა და ყუმბარა. ამ პერიოდში ჩანჩიბაძის შენაერთმა მოსპო მტრის 332 ტანკი, 246 ავტომანქანა, 97 ქვემეხი, 300 ტყვიამფრქვევი, 102 ნაღმსატყორცნი, 7 თვითმფრინავი. ჩანჩიბაძის მამაც გვარდიელებთან ბრძოლებში მტერმა დაჭარგა რამდენიმე ათეული ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი. ამ ბრძოლებში გვარდიელებმა მასობრივად გამოიჩინეს გმირობა.

სამშობლომ დამსახურებისამებრ შეიფასა თავისი შვილების საბრძოლო საქმეები და საბრძოლო ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა მრავალი მებრძოლი და მეთაური. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საბრძოლო ოპერაციების უნარიანი და მტკიცე ხელმძღვანელობისათვის, ამ ოპერაციების შედეგად მოღწეული წარმატებისათვის გვარდიის გენერალ-მაიორი ჩანჩიბაძე დაჯილდოებულ იქნა სუვოროვის მე-2 ხარისხის ორდენით. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მის შენაერთში შემავალი საარტილერიო ნაწილი დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით.

გვარდიის გენერალ-მაიორი
ჰ. ჩანჩიბაძე

მტრის რჩეულ ნაწილებთან ბრძოლებში მებრძოლებმა და მეთაურებმა ცხადჰყვეს სამშობლოსადმი თავიანთი სიყვარული და ერთგულება, სავსებით გაამართლეს გვარდიელთა წოდება, სახელოვნად გამოატარეს თავიანთი გვარდიული დროშა.

ვ. ყარა-მურზა

გამანადგურებლად ურტყამენ მტერს

ყუბანის ქვემო წელის რაიონში დღისით დაღამით სწარმოებს სასტიკი ბრძოლები. ჩვენი ჯარები სძლევენ ყველა სიძნელეს, ზედიზედ გამანადგურებლად ურტყამენ მტერს, ყოველდღე ავიწროვებენ რკალს მის სიმაგრეთა გარშემო, ზღვასთან იმწყვდევენ ჰიტლერელებს.

ამ სასტიკ ბრძოლებში საუკეთესო, ამტანი და უნარიან მეომრად გამოიჩინა თავი საქართველოს ბევრმა შვილმა.

მსროლელთა ასეულის წინსვლას ხელს უშლიდა ხანგრძლივ საცეცხლე წერტილი ჩამსხდარ მტრის მეავტომატეთა ძლიერი ცეცხლი. მებრძოლი **აბრამიშვილი** სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით ზედ საცეცხლე წერტილთან მიხოხდა და ამბრაზურში რამდენიმე გრანატი სტყორცნა. გერმანელები თავისი სიმაგრის ნამსხვრევებიანად ჰაერში აიტყორცნენ.

თავდაცვის ერთ ვიწრო უბანზე ჰიტლერელებმა მსროლელი ქვეგანაყოფის წინააღმდეგ 11 ტანკი გამოიყვანეს. უფროსმა სერჟანტმა კომკავშირელმა **ოთარ მგალობლიშვილმა** თავისი მსუბუქი ზარბაზანი ღია პოზიციაზე გამოაგორა და პირდაპირი დამიზნებით მოსპო გერმანელთა 5 ტანკი. დანარჩენებმა პირი იბრუნეს. მგალობლიშვილის საგმირო საქმეს მაღალი შეფასება მისცა სარდლობამ — იგი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

სხვა ბრძოლაში იშვიათი მამაცობა და საზრიანობა გამოიჩინა უფროსმა სერჟანტმა **ნოე ჩინჩალაძემ**. მან პირველმა ააფრიალა წითელი დროშა მაღლობზე, რომელიც გერმანელებს დასაყრდენ პუნქტად ჰქონდათ გადაქცეული. აქვე, ამავე მაღლობზე, შენაერთის მეთაურმა ნოე ჩინჩალაძეს გადასცა საბრძოლო წითელი დროშის ორდენი.

ერთი დიდი სტანციის განპირა უბანში გამართულ ხელჩართულ ბრძოლაში წითელარმიელმა **ხონელიძემ** ხიშტითა და კონდახით გაულიტა 11 გერმანელი. არანაკლები წარმატებით მოქმედებდა ხონელიძის თანამემამულე **გოგიშვილი**. იგი ფაფულად მივიდა მავთულხლართამდე, ბარით გასწყვიტა ქვედა მავთულები და მიხოხდა გერმანელთა სანგრამდე. აქ იგი წამოდგა და ზედიზედ სტყორცნა ორი გრანატი. გაისმა აფეთქების ხმა. გარშემო ყველაფერი კვამლში გაეხვია. გერმანელი მეტყვიამფრქვეველები დახოცილები ეყარნენ. გოგიშვილმა ხელი სტაცა ტყვიამფრქვევს, მტრისაკენ მიაბრუნა და ჰიტლერელებს ცეცხლი დაუშინა. გაბრნეულნი მსროლელები იერიშზე წავიდნენ. გერმანელთა ულოლისაგან განთავისუფლდა კიდევ ერთი სტანციი.

კაპიტანი **ი. დუბინსკი**

მოსკოვის გმირი დამცველები

მოსკოველთათვის გმირული ბრძოლის დღეებში მრავალმა საბჭოთა ქვეყნის შვილმა გამოიჩინა უმაგალითო გმირობა და თავდადება. მაგალითად, ყველას ახსოვს 28 ლეგენდარული გვარდიელის საგმირო საქმე.

ფაშისტთა ორმოცდაათი ტანკი გააფთრებითა ცდილობდა გაჭრილიყო მოსკოვისაკენ იმ უბნით, რომელსაც იცავდა 28 პანფილოველი გვარდიელი. გვარდიელებმა ერთმანეთს შეპფიცეს ებრძოლათ მტერთან სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. გმირებმა საკუთარი სიცოცხლე, ფასად გზა გადაუღობეს მტერს და არ შეუშვეს იგი მშობლიარ მოსკოვში. ესენი იყვნენ სახელოვანი საბჭოთა დეკემბრისტები ანანიევი, ბეზროდნი, ბოლოტოვი, ბონდარენკო, ვასილიევი, დობრობაბინი, დუტოვი, ემცოვი, ესიბულატოვი კელეინიკოვი, კასარეკი, კლოჩკოვი, კოკებერგენოვი, კონკინი, კრიუჩკოვი, მაქსიმოვი, მიტინი, მიტჩენკო, მოსკალენკო, ნატაროვი, პეტრენკო, სენგირბაევი, ტიმოფეევი, ტროფიმოვი, შადრინი, შაპაკოვი, შემიაკინი და შეპეტკოვი. ყველა ესენი დაღუპულებად ითვლებოდნენ და მათ სიკვდილის შემდეგ მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება.

მხოლოდ ამ რამდენიმე ხნის წინათ ცნობილი გახდა, რომ 28 გმირთაგან ორი ცოცხალია. ესენი არიან ილარიონ რომანისაძე ვასილიევი და გრიგოლ მიხეილისაძე შემიაკინი, ისინი რაღაც სასწაულით გადარჩენენ, დიდხანს იკურნავდნენ თავიანთ მძიმე ჭრილობებს და კონტუზიებს და ახლა კვლავ მზად არიან ანადგურონ საზიზღარი მტერი. მაღალი ჯილდოს მიღების შესახებ მათ მხოლოდ ჰოსპიტალში შეიტყეს.

ამას წინათ გმირები ესტუმრნენ თავიანთ სამშობლო მხარეს, ყირგიზეთის სს რესპუბლიკის ისიკ-კულის ოლქის ვორუშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს ძლიერ გაეხარდათ თავიანთი წარჩინებული თანამემამულის ამბ. შემიაკინის ნახვა. ამბ. ვასილიევმა რამდენიმე დღე გაატარა ქ. ალმა-ატაში, სადაც ჩამოყალიბდა, გაიზარდა და განმტკიცდა პანფილოვის დივიზია.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების პლენუმები

ლენინის რაიონი

9 აპრილს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლენინის რაიკომის მორიგი პლენუმი, რომელმაც მოისმინა საქ. ალკ თბილისის ორგ. ლენინის რაიკომის მდივნის ამბ. კ. გოგლიძის მოხსენება რაიონის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ.

სამამულო ომის დღეებში რაიონის კომკავშირმა პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ხელმძღვანელობითა და დახმარებით თვალსაჩინო მუშაობა ჩაატარა ფრონტის დასახმარებლად. გაიზარდა ფაბრიკა-ქარხნების, ტრანსპორტის ახალგაზრდობის საწარმოო აქტივობა.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში დაზგებთან მომუშავე 127 კომკავშირელიდან 94 სტახანოველია, 33 დამკვრელი. 53 კომკავშირელი ყოველდღიურ გეგმას 200-300 პროცენტით ასრულებს.

თბილისის საორთქლმავლო დეპოს 106 ლუნინელ მემანქანეთა შორის 18 კომკავშირელია. თბილისის საორთქლმავლო დეპოს კომკავშირულ-ახალგაზრდულმა საფრონტო ბრიგადამ, რომელსაც ორდენოსანი შ. ხიზანაშვილი ხელმძღვანელობს, სამამულო ომის განმავლობაში გეგმის გადამეტებით საგარეუბნო შეკეთებიდან 84 ორთქლმავალი გამოუშვა. ხოლო აწევითი შეკეთებიდან—12 ორთქლმავალი. ამავე დროს ბრიგადის წევრებმა შეაგროვეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 25 ტონა შავი ლითონისა და 1½ ტონა ფერადი ლითონის ნამსხვრევი.

მაგრამ ჯერ კიდევ სუსტია რაიონის ზოგიერთი კომკავშირული ორგანიზაციის ავანგარდული როლი წარმოებაში, დაბალ დონეზე დგას შრომის დისციპლინა. სატრიკოტაჟო კომბინატში 12 კომკავშირელი ვერ ასრულებს გამომუშავების ნორმას.

თვალსაჩინო მუშაობაა ჩატარებული ახალგაზრდობის სამხედრო-ფიზკულტურული კადრების მოსამზადებლად. კარგად მუშაობენ ამ მიმართულებით სამამულო ომის ორ-ორ ოლქ-ოლქ დეპოს, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კომკავშირული ორგანიზაციები.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ახალგაზრდობას შორის საგიტაციო-მასობრივ მუშაობას. 380 კომკავშირელი აგიტატორი მუშაობს რაიონში. ისინი რაზმავენ ახალგაზრდობასა და მოსახლეობას ფრონტის დასახმარებლად.

1942 წლის განმავლობაში რაიონში კომკავშირში 541 მოწინავე ახალგაზრდა იქნა მიღებული, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 382 ახალგაზრდა შეემატა კომკავშირის რიგებს.

გაძლიერდა პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირისადმი. მაგრამ რაიონის ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია არასაკმაო ყურადღებას აქცევს ამ საქმეს. „რემმაშტრესტისა“ და ავჭალის შუშის ქარხნის პარტიულ ორგანიზაციებს სამამულო ომის პერიოდში ერთხელაც არ განუხილავთ კომკავშირის მუშაობის საკითხები.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ შემდეგი ამხანაგები: ბ. ბარსეგოვი, გელაშვილი, ვ. ჩალიძე, ლ. გოგლიძე, ჩალ-ოღლი, ნ. დოკუსოფლო, ე. ლელაშვილი, ა. მჭედლიძე, კ. ჩაგუნავა, ა. შენგელია (საქ. ალკ თბილისის კომიტეტის მდივანი). პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ (ბ) თბილისის ორგ. ლენინის რაიკომის მდივანი ამხ. ნ. ბაიდაშვილი, რომელმაც პლენუმის ყურადღება გაამახვილა კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების, წარმოებაში კომკავშირის ავანგარდული როლის, ახალგაზრდობის სამხედრო მომზადების საკითხებზე.

პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.

ბერიას რაიონი

9 აპრილს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას რაიკომის პლენუმი. პლენუმმა განიხილა ორი საკითხი: რაიონის კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობის შესახებ და ორგანიზაციული საკითხი.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის ბერიას რაიკომის მდივანმა ამხ. ლ. ბანინიძემ. სამამულო ომის დღეებში რაიონის კომკავშირულმა ორგანიზაციამ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით და დახმარებით მთელი თავისი მუშაობა საომარ ყაიდაზე გარდაქმნა. გაიზარდა მოწინავე ახალგაზრდობის სწრაფვა ლენინურ-სტალინურ კომკავშირში. სამამულო ომის პერიოდში კომკავშირის რიგებში მიღებულია 1.002 ახალგაზრდა. 1943 წლის პირველ კვარტალში მიღებულია 252 კაცი. წარმატებით ეუფლება რაიონის ახალგაზრდობა საბრძოლო საქმეს. რაიონის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა სამამულო ომის დღეებში მოამზადეს მსროლელები, გრანატმტყორცნელები, მეავტომატეები, სამედიცინო დები და სხვ., 2.379 ახალგაზრდამ ჩაბარა მშობ 1-ლი საფეხურის ნორმა. 1.741 კომკავშირელი და კავშირგარეშე ახალგაზრდა დაეუფლა ხელჩართული ბრძოლის საქმეს. კომკავშირელები მუშაობენ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, ისინი მასობრივ-თავდაცვით საქმეშიაც ცხოველ ინტერესს იჩენენ. საუკეთესო კომკავშირელები გამოყოფილი არიან აგიტატორებად. 1942 წლის განმავლობაში რაიონში კომკავშირის აქტივისათვის მოეწყო 95 ლექცია და საუბარი, რომელსაც 6.000-ზე მეტი კომკავშირელი დაესწრო.

წარმოებასა და სწავლაში კომკავშირელები მოწინავენი არიან. აგვჯულობის ქარხნის კომკავშირელები საწარმოო დავალებებს 200 და 300 პროცენტით ასრულებენ. კარგი საწარმოო მაჩვენებლები აქვთ — ქარხნის და მე-11 სახელოსნო სასწავლებლის კომკავშირელებს. სკოლისა და წარმოება-დაწესებულებების კომკავშირელები ეხმარებიან ფრონტელთა ოჯახებს, ეკავშირებულ ბავშვებს. რაიონის ახალგაზრდობა აქტიურ მონაწილეობას იღებს, აგრეთვე საშეფო ჰოსპიტლებზე შეფობის საქმეშიაც.

მაგრამ ამავე დროს რაიონის ცალკეული კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში დღემდე ადგილი აქვს მთელ რიგ ხალოვნებებს. თეატრალური ინსტიტუტის, სახ. კონსერვატორიის, ჰიგიენის სახლის, სასტუმრო „თბილისის“ და სხვა ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ კომკავშირის რიგების ზრდის საკითხს, იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას, იშვიათად ტარდება კომკავშირის კრებები.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ნოვიკოვმა, ბალახინშვილმა, ახარაშვილმა, ფრანგულიანმა, თარხანოვმა და სხვ. პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ბერიას რაიკომის მდივანი ამხ. ხანთაძე, აღნიშნულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება.

პლენუმმა რაიკომის მეორე მდივნისა და ბიუროს წევრობის მოვალეობისაგან გათავისუფლა ამხ. გ. ლუარსაბოვი სხვა სამუშაოზე მისი გადასვლის გამო. რაიკომის მეორე მდივნად აირჩიეს ამხ. შ. გვასალია, რომელიც პლენუმმა გათავისუფლა რაიკომის მდივნის მოვალეობისაგან კადრების დარგში. რაიკომის მდივნად კადრების დარგში პლენუმმა აირჩია ამხ. ქ. კაპანაძე, სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო ბიუროს წევრობისაგან გათავისუფლა ამხ. გ. ცქიტიშვილი, ბიუროს წევრთა შემადგენლობაში შეიყვანა ამხ. კანკავა.

კიროვის რაიონი

9 აპრილს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომის XIII პლენუმი. რაიონში კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა საქ. ალკკ თბილისის ორგ. კიროვის რაიკომის მდივანმა ამხ. ა. ცხოიძემ.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, სამამულო ომის დღეებში კომკავშირის რიგებში ინდივიდუალური შერჩევით მიღებულია მოწინავე ახალგაზრდობა, სტახანოველები, ორდენოსანები, ფრიადოსანი მოსწავლეები და სხვ. 1942 წლის განმავლობაში და 1943 წლის პირველ კვარტალში სულ 717 მოწინავე ახალგაზრდაა მიღებული.

მაგრამ კომკავშირის ზოგიერთ ორგანიზაციაში ჯერ კიდევ არასაკმაოდ ზრუნავენ კომკავშირის რიგების ზრდაზე.

მაგალითად, საგალანტერეო ფაბრიკის კომკავშირის ორგანიზაციამ კომკავშირში მიიღო შ. ხოჩოიანი. მას ჯერ კომკავშირის ბილეთი მიღებული არ ჰქონდა, რომ თვითნებურად მიატოვა სამეშაო და ფაბრიკიდან წავიდა.

რაიონის კომკავშირელები თავდადებულად იბრძვიან საწარმოო გეგმების მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. მაგალითად, სტალინის სახელობის ფეხსაცმლის № 1, ფეხსაცმლის № 2, ცელულოიდის ფაბრიკის ყველა კომკავშირელი ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში და საწარმოო დავალებებს გადაჭარბებით ასრულებს.

კომკავშირელები გულმოდგინეთ ეუფლებიან სამხედრო საქმეს. სამხედრო ცოდნას დაუფლებული მრავალი კომკავშირელი წავიდა ფრონტზე ჰიტლერელ ფაშისტთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ფრონტზე წასული ამხანაგები სამშობლოსათვის თავდადებული ბრძოლით ამართლებენ ლენინურ-სტალინური კომკავშირელის სახელს. ასეთები არიან ამხანაგი გორშკოვი, ნემჩენკო, ანა გრიგორიევა და სხვ.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ჯაშიაშვილმა, ჯიქიამ, შათირიშვილმა, მებურიშვილმა, კუტალაშვილმა, ბაბაიანმა, ტანდოვამ, ვაშაკიძემ, მალოიანმა, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომის მდივანმა ამხ. ხოშტარიამ და სხვ.

მოსმენილი საკითხის გარშემო მიღებულ იქნა პრაქტიკული ღონისძიებანი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ე. ჩერქეზია.

დღეფეგი

იდენის გამოსვლა თემთა პალატაში

ლონდონი, 8 აპრილი (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, საგარეო საქმეთა მინისტრმა იდენმა დღეს თემთა პალატაში გააკეთა განცხადება ა. შ. შტატებსა და კანადაში თავისი მგზავრობის შესახებ.

თავისი სიტყვის დასაწყისში იდენმა მოაგონა მოსკოვი თავისი გამგზავრების შესახებ, რაც ერთ წელზე მეტი ხნის წინათ მოხდა, და სთქვა: „ჩვენ მივესალმებოდით შესაძლებლობას ახალგიური მოლაპარაკება დაგვეწყო ა. შ. შტატებთან“. იდენმა განაცხადა, რომ მის მოლაპარაკებას ა. შ. შტატებში ფართო ხასიათი ჰქონდა და რომ ინგლისელი სტუმრებისადმი ა. შ. შტატებსა და კანადაში სრული გულითადობა გამოიჩინეს. „თვით პრეზიდენტი, — სთქვა იდენმა,—არ ზოგავდა დროს საუბრისათვის, რასაც მე პირადად მასთან და მის მრჩევლებთან ვეწეოდი“. შემდეგ იდენმა განაცხადა, რომ მას საშუალება ჰქონდა აგრეთვე შეხვედროდა ვიცე-პრეზიდენტ უოლეს და ა. შ. შტატების მთავრობის თითქმის ყველა წევრს.

შემდეგ იდენი გადავიდა თავისი მოლაპარაკების საკითხზე, მოლაპარაკებისა, რომელიც სამი მთავარი მიმართულებით მიმდინარეობდა. პირველი მიმართულება ეხებოდა ისეთ საკითხებს, რომლებიც ჩვეულებრივ არ შედიან საგარეო საქმეთა სამინისტროს კომპეტენციაში, ე. ი. „საკითხებს, რომლებიც მუდამ წამოიჭრებიან ხოლმე ომის დროს მოკავშირეთა შორის. რომლებიც საერთო ბრძოლაში მონაწილეობენ“. ორივე მხარე კმაყოფილია ამ საკითხებზე მოლაპარაკების შედეგებით

იდენი შეეხო მოლაპარაკების მეორე მხარეს—პოლიტიკურ თანამშრომლობას და სთქვა: „ომის მიხედვით, თუ როგორ ვითარდება ომი, სამხედრო და პოლიტიკური საკითხების მჭიდრო დაკავშირებას სულ უფრო მეტი და მეტი მნიშვნელობა ეძლევა თუ ჩვენ შევძლებთ მჭიდრო ურთიერთგაგების დამყარებას, მაშინ ჩვენ უკეთესად შევძლებთ გადავიტანოთ დაძაბულობა და სიძნელენი, რაც აუცილებლად წარმოიშვება“. იდენმა სიძნელეთა მაგალითის სახით მოიყვანა ვიშის მთავრობისადმი სხვადასხვანაირი დამოკიდებულება ა. შ. შტატებსა და ინგლისში და განაცხადა: „მე კმაყოფილი ვარ იმით, რომ საფრანგეთის მიმართ მომავალი პოლიტიკის საკითხზე ჩვენს შორის სრული შეთანხმება არსებობს. ჩვენ და ა. შ. შტატებს ერთიანი მისწრაფება გვაქვს—მივაღწიოთ იმას, რომ გაერთიანდეს ფრანგი ხალხის ყველა ფენა, რომელიც მზად არის ებრძოლოს საერთო მტერს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რაც კი შეგვიძლია იმისათვის, რომ დავეხმართო მათ გაერთიანდნენ, მაგრამ ეს ყოველთვის უბრალო საქმე როდია“.

იდენი გადავიდა ესპანეთისა, პორტუგალიისა და თურქეთის მიმართ პოლიტიკის განხილვაზე და სთქვა: „ჩვენ შეთანხმებას მივაღწიეთ ამ პოლიტიკის ყველა საკითხზე. ერთად განვიხილეთ პირობები, რომლებიც არსებობს ევროპის სხვა ნაწილებში, როგორც მოწინააღმდეგის ბანაკში, ისე მის მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში. ჩვენ მივედით საერთო აზრამდე, რომ ჩვენი ერთობლივი პოლიტიკა განმტკიცებული იქნება ჩვენი ინფორმაციის გაფართოებით, იმის შესახებ გულახდილი ცნობების გაზიარებით, რაც ამ ქვეყნებში ხდება, და ამ საკითხებზე ჩვენი შეხედულებების გაზიარებით. ჩვენ დავსახეთ გარკვეული გეგმა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ამ ამოცანის მიღწევას. რაც შეეხება ოკუპირებულ ქვეყნებს, არსებობს მხოლოდ ერთი პოლიტიკა, რასაც მივდევთ ჩვენ და ა. შ. შტატები, სახელდობრ—